შეთანხმება №2/01-01

(2014 წლის 20 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/01 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი 19 ივნისი 2014წ.

2014 წლის 20 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **№2/01** ხელშეკრულებების (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**) მხარეები, **სსიპ - „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“** (**„შემსყიდველად“** წოდებული), დირექტორის მოადგილის **მაგდა ბოლოთაშვილის** სახით, ერთის მხრივ და **შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“** (**„მიმწოდებლად“** წოდებული), ღონისძიებების მენეჯერის **მედეა შენგელაიას** სახით, მეორეს მხრივ, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, **„ხელშეკრულების“** მე-9 პუნქტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წერილობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. დაზუსტდეს **„მხარეთა“** შორის 2014 წლის **20 იანვარს** გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **№2/01** ხელშეკრულების მომსახურების გაწევის ვადები და 3.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   „3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.”

2. ცვლილება შევიდეს **„ხელშეკრულების“ 10.1 ქვეპუნქტში,** სადაც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდად ნაცვლად 2014 წლის 31 დეკემბრისა განისაზღვროს **2015 წლის 31 იანვარი** და 10.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 20 იანვრიდან - 2015 წლის 31 იანვრამდე.“

3. **„ხელშეკრულების“** მხარეთა რეკვიზიტების ნაწილში შეიცვალოს „შემსყიდველის“ მისამართი და ნაცვლად - „ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. #3-5“ განისაზღვროს შემდეგი მისამართი: **„ქ. თბილისი, ბამბის რიგის ქ. N7“**

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ძირითად ხელშეკრულებებთან ერთად.

5. შეთანხმება შედგენილია **3 (სამი)** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან **2 (ორი)** ინახება **„შემსყიდველთან“**, ხოლო 1 **(ერთი) -„მიმწოდებელთან“.**

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:
სსიპ-ს "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო",
ს/კ: 204990082

დირექტორის მოადგილე,

მაგდა ბოლოთაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“
ს/კ: 203843396

ღონისძიებების მენეჯერი,

მედეა შენგელაია